**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 151 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 151

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ელენე გრიგოლის ასული**, შვილნი მისნი: მიხეილ, გრიგოლ, თამარ ირაკლის ძენი და ასული **ციციშვილები** და ეკატირინე ირაკლის ასული **ზანდასტანოვისა**, სოფიო ზაქარიას ასული და დარია მერაბის ასული **ციციშვილები** და ბესარიონ სოლომონის ძე **ზალდასტანოვი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი - ძვირფასის ქრმისა, მეორენი — მამის, მესამე—ბიძის, მეოთხე—მაზლის და მეხუთე—სიმამრის.

**ირაკლი მიხეილის-ძის ციციშვილისას,**

რომელიც გარდაიცვალა ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ ტფილისში 29 ივნისს. დაკრძალვა მოხდება შაბათს 3-ს ივლისს სოფ. ხვედურეთში (ქარელის სადგური) საგვარეულო სასაფლაოზე. (1—1)

ვიღებ საეკლესიო **პანკელეგის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ჰრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ უანჩაველს. (15—14)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მელიქოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია" ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან. (15—6).

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღეა. (24—6—3)

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია"

პეტერბურგში, მორსკაია, № 27.

(Петербургъ, Морская, д. № 37).

გამგეობა იმყოფება პეტერბუგში, (Морская, № 37).

**ანგარიში მოგებისა და ზარალისა 1903 წ. განმავლობაში.**

**შემოსავალი**

| | | |
|---|---|---|
| გადმოტანილია 1902 წლის დარჩენილი მოგება. . . . . . | მან. | 7,715—62 |
| აკრებილია პრემიები 1903 წელს . | „ | 18.905,945—14 |
| მიღებულია გადამზღვევ საზოგადოებათაგან, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ზარალში . . . | „ | 3,787,377—95 |
| მიღებულია პროცენტები საზოგადოების თანხაზედ . . . . | „ | 2.313,727—83 |
| | მან. | 25.014,766—54 |

**გასავალი**

| | | |
|---|---|---|
| მიეცათ დაზღვეულთ . . . . . | მან. | 12.988,924—96 |
| მიცემულია გადასახდელი პრემიები. | „ | 5.136,116—11 |
| დაიხარჯა განყოფილებების საწარმოებლად და მიეცათ აგენტებს საკომისიო . . . . . . . | „ | 1.756,874—74 |
| გამგეობის ხარჯი . . . . . . | „ | 897,151—57 |
| მიმატებულია სათადარიგო პრემიებზე | „ | 3.348,790—89 |

**მოგება:**

| | | |
|---|---|---|
| დამზღვეველთა სასარგებლოდ მან. . . . 283,636—99 | | |
| საზოგადოების სასარგებლოდ მან. . . . 603,271—28 | „ | 886,908—27 |
| | მან. | 25.014,766—54 |

**აგენტები**

იმყოფებიან იმპერიის ყველა ქალაქებში

**ბალანსი 1-ლ იანვრისთვის 1904 წლისა.**

**აქტივი**

| | | |
|---|---|---|
| ნაღდი ფული კასაში . . . . . | მან. | 618,727—70 |
| შეტანილი ფული და მიმდინარე ანგარიშები ბანკებში და გადამზღვევ საზოგადოებებში . . . . . | „ | 5.398,221—52 |
| სარგებლიანი ქაღალდები . . . . | „ | 20.380,338—46 |
| ღირებული ფასი საზოგადოების სახლებისა . . . , . . . | „ | 20.187,281—93 |
| სესხი დაგირავებულ სარგებლიან ქაღალდებზე . . . . . . | „ | 100,000—00 |
| სესხი დაგირავებულ უძრავ მამულებზე | „ | 1.050,000—00 |
| სესხი სიცოცხლის დასაზღვევ პოლისებზე . . . . . . . . | „ | 6.353,764—28 |
| განყოფილებებში ნაღდ ფულად და აგენტებს აქვთ სალდოდ. . . | „ | 3.166,396—09 |
| აქტივის სხვა და სხვა სტატიებით . | „ | 489,298—22 |
| | მან. | 57.744,028—20 |

**პასსივი.**

| | | |
|---|---|---|
| თანხა (16,000 აქცია, თითო 250 მ.) | მან. | 4.000,000 |
| სათადარიგო თანხა საზოგადოებისა და დამზღვეველთ მოგება. . . | „ | 2.520,317—03 |
| სათადარიგო პრემიები . . . | | 44.483,249—51 |
| გაუთავებელ ზარალის სათადარიგოდ . . . . . . . . | „ | 2.790,789—97 |
| ერგებათ გადამზღვევ საზოგადოებებს და სხვა კრედიტორებს . . . | „ | 2.453,746—46 |
| პასსივის სხვა და სხვა სტატიებით . . . . . . . . . | „ | 892,653—95 |
| მოგება საზოგადოებისა 1903 წლის განმავლობაში*) . . . . . | „ | 603,271—28 |
| | მან. | 57.744,,028—20 |

*) აქციონერებს დივიდენდათ ეძლევათ 22 მან. აქციაზე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევნიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ლონდონის გაზეთების ცნობებით, 22 ივნისს იაპონელებს გადუყვანიათ «ტიგროვი ბუხტაში» 5,000 მეომარი, ციხის სანგრევ ზარბაზნებით.

ლიაოიანიდგან დეპეშით იწერებოდნენ, ჯარმა უკანასკნელ ორ კვირას თავი მოიყარაო. გენერალ კუროპატკინს ორჯერ უნდოდა მტერს შებრძოლებოდა, მაგრამ იაპონელები მოერიდნენო. იაპონელებმა ჩრდილოეთისკენ დიდი რაზმი გაგზავნეს,

რომელიც დაუპირდაპირდება დაშიცაოს ხაიჩენსა და ლიაოიანს, რომ გაიჯოუში, მყოფს ჯარს უკან მოუარონ და მოიმწყვდიონო. (ნ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან შემდეგ ცნობებს იწერებიან 21 ივნისის ბრძოლის შესახებ:

როდესაც რუსის ჯარი მტერს დაუახლოვდა, იაპონელების ორი ბატალიონი დაფრთხა და უწესოდ გაიქცა. რუსები მისდევდნენ, მანამ დიდს ჯარს არ წააწყდნენ. დაღამდა და ბრძოლა შესწყდა. დილით იაპონელების მთელი დივიზია გამოჩნდა. რუსები გამობრუნდნენ, მაგრამ იაპონელებმა აქედ-იქიდგან სროლა ასტეხეს და ტყვია საფანტსავით დააყარეს. ესე სდიეს რუსებს 12 ვერსის მანძილზე საუნამდე, სადაც სწრაფად რუსის სათადარიგო ჯარზე იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა უკუ აქციეს. ღამე რავდენსამე იაპონელს თავი მოემკვდარუნებინა. რუსის ჯარი რომ წინ წავიდოდა, ისინი ქვებს ეფარებოდნენ და უკანიდგან თოფს ესროდნენ აფიცრებს. ერთი ამ იაპონელთაგანი რუსებმა შეიპყრეს. ამ ბრძოლაში ბევრი ჩვენი აფიცერი მოჰკლეს. ერთს ბატალიონს 6 აფიცერი დააკლდა. ზოგი ბერდანის თოფით არის დაჭრილი. ეტყობა, იაპონელთა ჯარში კორეველნიც უნდა იყვნენ, რადგან მხოლოდ მათს ჯარს აქვს ბერდანის თოფები.

23 ივნისს სოფელ აფათოუსთან ორი რუსის როტა დაწინაურდა. ბურუსიანსა და ბნელ ღამეში იაპონელები, ჩინელების წინამძღოლობით, ამ ორს როტას მიეპარნენ და ალყა შემოარტყეს. გზა და გზა რუსის დარაჯები დაეხოცნათ. რუსის ჯარი მამაცურად შეებრძოლა მტერს, ალყა გაარღვია და უკან გამობრუნდა. 30 მეომარი ბრძოლის ველზე დასტოვა. ამბობენ, იაპონელებს მეტი ზიანი მიეკათო. («რუს.»).

—

იაპონელები ძალიან აუღელვებია იმ ამბავს, რომ ვლადივოსტოკის ფლოტმა კიდევ ითარეშა კორეის სრუტეში და ადმირალ კამიმურამ ვერა დააკლო-რა. 19 ივნისს ტოკიოში დიდძალი ხალხი შეგროვდა ადმირალ კამიმურას სახლის წინ და სახლს ქვა დაუშინა. მისი ოჯახი უკანა კარიდგან გაპარულიყო. ხალხს სახლი სულ აუკლია და მიუნგრ-მოუნგრევია. (ნ. ვ.).

—

ადმირალ ტოგოს თავის ესკადრის ნაწილი კორეის სრუტეში დაუბინავებია ვლადივოსტოკის ესკადრის დასახვედრად. იაპონელებს განზრახვა ჰქონდათ, რუსის ესკადრა სრუტეში რომ შევიდოდა, ნაღმოსნები გამოვიდოდნენ ტაგოსიკიდგან და გზას შეუკრავდნენ. რაც უნდა მოსვლოდათ ამ ნაღმოსნებს, არ მოერიდებოდნენ, ოღონდ მტრის ერთი გემი მაინც დაეზიანებინათ. მოსალოდნელი იყო, რომ დაზიანებულ გემს რუსები თავს არ დაანებებდნენ და ამიტომ სხვა გემებიც საფრთხეში ჩავარდებოდნენ. პირველად საქმე მართლა ისე მიდიოდა, როგორც იაპონელებს მოფიქრებული ჰქონდათ. რუსის სამმა სამხედრო გემმა შენიშნა თუ არა იაპონელების სამჯერ მომეტებული გემები, უკან-უკან დაიწია. იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ სიშორის გამო ვერც ერთი ვერ მოარტყეს. იაპონელების თერთმეტი ნაღმოსანი ტაგოსიკიდგან გამოვიდა და რუსის გემებს გადაეღობა. ხოლო ნაღმიანი ყუმბარები ვერ მიუწიეს. რუსის კრეისერებმა კი ორი ნაღმოსანი დაღუპეს. ნაღმოსნები შეშინდნენ და თავის სამხედრო გემებისკენ გაეშურნენ. იმათ ეგონათ, რუსის ნაღმოსნები არიანო და ყუმბარები დაუშინეს თავის ნაღმოსნებს. ნაღმოსნებმა ანიშნეს და მალე მიახვედრეს, რომ კრეისერები შესცდნენ, მაგრამ გვიან-ღა იყო—რუსის გემებმა ამ არეულობაში თავს უშველეს. (ნ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იუწყებოდნენ 23 ივნისს, გენერალ კაშტალინსკის ერთი ბატალიონი ღამე წვიმა ავდარში იაპონიის რაზმს წაეპარა ლანიდიან-სიანთან, დარაჯები სულ გაწყვიტა და მერე თხრილებით გარშემორტყმულ იაპონელების ბანაკს დაეცაო. იაპონელებმა ორჯელ მიიტანეს იერიში რუსის ჯარზე, მაგრამ ორჯელვე უკუ იქცნენ დიდის ზარალით. მესამე იერიშის დროს იაპონელებმა ჩვენს ჯარს თითქმის ალყა შემოარტყეს. ამ დროს ერთი სხვა ბატალიონიც მოუვიდათ. რუსებმა ალყა გაარღვიეს და მშვიდობიანად თავს უშველეს. რუსებმა ამ ბრძოლაში დაჰკარგეს 300 მეომარი, მოკლული და დაჭრილი; იაპონელებს კი 1,000 კაცი დაუკარგავთ. („რუს.").

—

სადგურ სინჩენთან 22 ივნისს ცხარე ბრძოლა ყოფილა, რომელშიაც თავი ისახელა გენერალმა სამსონოვმა. ყაზახების რაზმი იაპონელების მოწინავე ჯარს მიაწვა და უკუ-აქცია. ზაბაიკალის არტილერია საოცრად მოქმედობდა. ყუმბარები სწორედ იმ ადგილს ეცემოდა, სადაც მტერი უფრო დაზიანდებოდა. ბატარეამ ოთხჯერ იცვალა ბინა. იაპონელებმაც, რასაკვირველია, ზარბაზნები დაგვიშინეს და ისე ოსტატურად ჰქონდათ ზარბაზნები დამალული, რომ ჩვენები კარგა ხანს ვერ მიხვდნენ, საიდგან გვაყრიდნენ ყუმბარებს. მერე-კი ზაბაიკალის ბატარეამ მიაგნო ადგილს, სადაც ოთხი ზარბაზანი იდგა. სად და როგორ გაჰქრა მტერი, ჩვენებმა ვერ გაიგეს.

22 ივნისს ჩვენმა მზვერავებმა დაინახეს, რომ ყველა უღელ-ტეხილებზე მტერი გამაგრებულა და დიდძალი ჯარი დაშვებულა ფერდობზე, გენერალ ჩირიკოვის ჯარის პირდაპირ. ამავე დროს გავიგეთ, რომ იმ ღამეს იაპონელების რაზმი, ესე ორას კაცამდე, ჩვენ მზვერავებს შემორტყმია და მოუმწყვდევია, ხოლო მზვერავები როგორღაც გაპარულან ს. ნანტაისკენ. აქ რუსებს ჰყოლიათ თხრილებში მიმალული ორი როტა ქვეითის ჯარისა და ორი ასეული ყაზახებისა. იაპონელები ჩვენ მზვერავებს ფეხ და-ფეხ მიჰყოლიან და ამ ჯარზე იერიში მიუტანიათ. რუსებმა, რადგან ბევრით ნაკლები იყვნენ, წინააღმდეგობა ვერ შესძლეს და ამიტომ გაიჯოუსკენ დაიწიეს. ბრძოლა შესწყდა გაიჯოუს ახლო, 9 ვერსტის სიშორეზე. მეორე დღეს გენერალ სამსონოვი იაპონელების მარცხენა ფრთას დაეცა, მაგრამ შეფიქრიანდა, უკან დასაბრუნებელი გზა არ გადამიჭრანო, და თავის ჯარი გაიჯოუსკენ დასწია მწყობრად და თან მტერს ემუქრებოდა, ვინიცობაა დასდევნებოდა.

გაიჯოუს ამ რიგად იყო ჩვენი ჯარი განაწილებული: გენერალ სამსონოვის მხედრობა შიგ გაიჯოუშია. გაიჯოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინავე ჯარია დაბანაკებული გენერალ ჩირიკოვის უფროსობით. ამ ჯარის აღმოსავლეთად სდგანან დაუღალავ გენერალ მიშჩენკოს ყაზახები. საიდგან მოვლენ იაპონელები, —არავინ იცის, ხოლო ჰფიქრობენ, სიუანიდგან დაშიჩაოზე გამოილაშქრებენო.

რუსის ჯარში იაპონელების პროკლამაციებს ავრცელებენ. იაპონელები ჰპირდებიან რუსის სალდათებს, თუ ტყვედ წაგიყვანეთ, პატივისცემით მოგეპყრობითო. («ბირ. ვედ.»).

—

გენერალ კუროპატკინის მოხსენებით, რუსებისა და იაპონელების მოწინავე რაზმები ერთმანერთს უახლოვდებიან და თითქმის ყოველ დღე ბრძოლა აქვთ. 21 ივნისს შაკაოლინთან რუსები დასცემიან იაპონელების მოწინავე რაზმს, ხოლო უკუქცეულა. იაპონელებს 19 მეომარი მოუკლეს და 38 დაუჭრეს, მათ შორის 2 აფიცერი. რუსებმა-კი დასტოვეს ბრძოლის ველზე 53 მოკლული და 40 დაჭრილი მეომარი, იმას გარდა, რაც გზა-და-გზა დაუშავდათ დაწევის დროს. (რ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან 22 ივნისს დეპეშით ატყობინებენ „დეილი ტელეგრაფს": აქედგან 25 მილის სიშორეზე ბრძოლაა, მთებიდგან მრავალი დაჭრილი ჩამოჰყავთ, ან ორ ჯოხს შუა ან ეტლებში ლეიბზე გაწვენილი. აგერ 2 დღე იბრძვიან, როგორც ეტყობა, მედგრად და მრისხანედ. (რ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთები იუწყებიან, იაპონელებმა პორტ-არტურს გარშემო ალყა შეავიწროვეს და მარშალ ოიამას ელიან, რომ იერიში მიიტანონ. (რ. ს.).

—

ადმირალი სკრიდლოვი საზღაპრო გმირად გადაქცეულა. უცხოელ გაზეთებს რომ ვერწმუნოთ, ადმირალი სკრიდლოვი ერთსა და იმავე დროს პორტ-არტურს, კუნძულ ცუსიმზე და ვლადივოსტოკში უნახავთ. (ნ. ვ.).

# ტფილისი

*** «კავკაზის» ოფიციალურს ნაწილში დაბეჭდილია კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის შემდეგი განკარგულებანი: 1) «ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილის გამგეობას: მივემგზავრები-რა, უმაღლესის ნება-რთვით, პეტერბურგს სამსახურის საქმეთა გამო, ვავალებ ჩემს თანაშემწეს, ინფანტერიის გენერალს ა. ა. ფრეზეს, შეუდგეს ჩემს თანამდებობათა აღსრულებას». 2) ბრძანება კავკასიის სამხედრო ოლქს: «მივემგზავრები-რა, უმაღლესის ნება-რთვით, პეტერბურგს სამსახურის საქმეთა გამო, მივანდობ ჩემს თანაშემწეს, ინფანტერიის გენერალს ა. ა. ფრეზეს, შეუდგეს ჩემს აქ არ ყოფნის დროს, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსისა და კავკასიის ყაზახთა ჯარების ნაკაზნოი ატამანის თანამდებობათა აღსრულებას». 3) «რადგანაც ჩემდამო რწმუნებულის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბელიავსკი სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს მიდის, მისის თანამდებობის დროებით აღსრულება მიენდო საოლქო გენერალ-კვარტირმეისტერს, გენერალ-მაიორს შკინსკის, ხოლო მოგზაურობიდგან იმის დაბრუნებამდე ამ თანამდებობათა აღსრულება მიენდო მორიგს გენერალს, გენერალ-მაიორს ვერეშჩაგინს. კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი და სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებელი, სენატორი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გოლიცინი»; 4) «რადგანაც ჩემის კანცელარიის დირექტორი გენერალ-მაიორი ტროფიმოვი სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს უნდა გაემგზავროს, მის თანამდებობის აღსრულებას დროებით, ვიდრე გენ.-მაიორი ტროფიმოვი დაბრუნდებოდეს, მივანდობ ვიცე-დირექტორს სტატსკი სოვეტნიკს მაქსიმოვს, რომელმაც უნდა განაგოს, როგორც სამოქალაქო კანცელარიისა, ისე სამხედრო-საერო საქმეები, აგრეთვე დაესწროს ჩემის კანცელარიის საბჭოს კრებებს, როგორც დირექტორის მაგიერი. კავკასიის მთავარ-მართებელი, სენატორი თავ. გოლიცინი».

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე, უკვე შეუდგა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსისა და ყაზახთა ჯარების ნაკაზნოი ატამანის თანამდებობათა აღსრულებას 29 ივნისიდგან.

*** გუშინწინ, 29 ივნისს, დილის 10 საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ საგანგებო მატარებლით პეტერბურგს გაემგზავრა სამსახურის საქმეთა გამო. მათი ბრწყინვალება რკინის გზის სადგურამდე გააცილეს: მთავარ-მართებლის თანაშემწემ, ინფანტერიის გენერალმა ა. ა. ფრეზემ, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორმა გენერალ-მაიორმა ვლ. ო. ტროფიმოვმა, შტაბის უფროსმა ნ. ნ. ბელიავსკიმ, ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელმა პოლკოვნიკმა ი. ნ. სვეჩინმა, ტფილისის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. ნ. რეიტერმა, გენერალიტეტმა, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა უფროსებმა და აუარებელმა საზოგადოებამ.

*** გაგრიდგან ბ-ნი ხოშტარია დეპეშით გვაუწყებს: «25 ივნისს გაგრაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის კაცთმოყვარეობის უანგარო მეგობრისა და საზოგადო მოღვაწის ექიმ[illegible] სამსონ თოფურიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა განსვენებ[illegible]ლის გაგრელ [illegible] ბით. საუკუნოდ იყოს მისი ხსენება».

*** ჩვენ [illegible] რომ ბ-ნს [illegible] ნახუცრიშვილს გადაუთარგმნია ჰ. ჰაუპტმანის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „მზის ამოსვლამდე», რომელიც უკვე ჩაურიცხავთ ს[illegible] ხალხო თეატრის რეპერტუარში. ეს დრამა პირველი ნაწარმოებია ჰაუპტმანისა.

*** ჩვენს ნიჭიერს მსახიობს ვლ. ალექსი-მესხიშვილს ქართულად გადმოუთარგმნია ჰ. ჰაუპტმანის სულ უკანასკნელი ნაწარმოები «როზა ბერნდტი», ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართულ თეატრის დამსახურებული მსახიობი-ქალი ქ-ნი მ. საფაროვ-აბაშიძისა ამ დღეებში პროვინციებში მიდის წარმოდგენების გასამართავად და თან მიჰყვებიან, როგორც ყური მოვკარით, მსახიობნი: ბ-ნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვ. გამყრელიძე და ქ-ნი ქეთო ანდრონიკაშვილისა და სხვ.; დივერტისმენტებში მონაწილეობის მიღება უკისრნია პოეტს თავ. აკაკი წერეთელს.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ამიერიდგან აღარ გაანთავისუფლოს საზაფხულოდ ქალაქის ექიმები, რადგანაც მოსალოდნელია ტფილისში ხოლერის ეპიდემიის შემოტანა სპარსეთიდგან, ხოლო ვინც კი უკვე გაუნთავისუფლებია აქამდე გამგეობას, იმათ წინადადება მისცეს, რომ ისევ ქალაქში დარჩნენ.

*** ქალაქის საბჭოს უკანასნელი კრება ამ ზაფხულში დანიშნულია დღეს, 1-ლ ივლისს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნაკი «ქვის მტვრეველი» (იაპონური ზღაპარი) და ლექსები იზიძისა. ეს წიგნაკი მეტად საყურადღებოა თავისის შინაარსით. «ქვის მტვრეველი» პროზად ამ რამდენისამე ხნის წინად ჩვენს გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი ფელეტონად. ბ-ნს იზიძეს ეს მშვენიერი და აზრიანი ზღაპარი ადვილ გასაგების ენით გაულექსნია. ამ წიგნაკში მოთავსებულია აგრეთვე იზიძის რამდენიმე სხვა ლექსებიც. წიგნი ჰღირს 5 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი სომხური წიგნაკები: 1) «ფათი» ალ. ყაზბეგისა, სომხურად თარგმნილი უ. კარაპეტიანცის მიერ. წიგნი შეიცავს 26 გვერ. და ჰღირს 5 კაპ., და 2) «უმანკო მსხვერპლი», დუტუ მეგრელისა, მისივე თარგმანი, 32 გვ., ფასი 8 კაპ.

## სიტყვა,

თქმული 30 ივნისს 1904 წ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში სამსონ თოფურიას სულის მოსახსენებლად გადახდილ პანაშვიდის დროს.

> ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს. (2 ტიმ. 4, 7)

საყვარელნო! დღეს შევკრებილვართ ჩვენ იმისთვის, რომ ლოცვა-კურთხევით

# ფელეტონი

## შიო-მღვიმე და მისი განმაახლებელნი.

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

ტფილის-ბორჯომის მატარებელი სისწრაფით მიგვაქროლებდა ავჭალისაკენ. გავცილდით ავჭალას. გვერდით ავუარეთ ჩვენის ძველის დიდების ნაშთს—სვეტი-ცხოველს. გონების თვალით თაყვანი ვეცით იქ დაკრძალულ წინაპართა ძვლებს. სასოებით შევხედეთ გაღმა მთიდან თითქოს შეურაცყოფილის სიამაყით გადმომცქერალს ჯვარის ეკლესიას. გავშორდით მცხეთის მიდამოებსაც. შორიდან თვალი მოვკარით ისტორიულს არმაზის ხეობას. მაგრამ ვერც კი მოვასწარით ყველა ამ შესანიშნავ ადგილებზედ გონებაში აღძრულ მოგონებათა ჯეროვანათ წარმოდგენა და გათვალისწინება, რომ ჩვენმა მატარებელმა ერთბაშად სრბოლა შესწყვიტა და ნაცნობმა კონდუქტორმაც გამოგვიცხადა: შიო-ღვიმის ბაქანთან მოვედითო. ჩვენც დავეშურეთ მატარებლიდან გადმოსვლას. იმან კი დასტვინა, შეძრა, აფუხფუხდა და მსწრაფლად განშორდა მიდამოს...

ორნი ვიყავით და თან ერთიც მთიელი ბავშვი გვახლდა. პირველად მივდიოდი შიო-მღვიმის სანახავად და ამიტომ ყველაფერი მომხიბლველად მეჩვენებოდა. ჩვენ პირი ვიბრუნეთ აღმოსავლეთისკენ და მტკვრის ნაპირს დავუყევით.

საუცხოვო ამინდი იყო. ლაჟვარდოვან ცაზე ერთი ნაგლეჯი ღრუბელიც არ მოჩანდა. ჰაერში მოჯიბულ ბალახისა და თავთავ გავსილ პურის საამური სუნი ტრიალებდა. ძირს, ღრმა ხეობაში, მტკვარი რაღაცას ბუტბუტობდა. მაგრამ ჩვენ დრო არ გვქონდა ამ საიდუმლო ბუტბუტისთვის, დიდებულის პოეტის მსგავსად, ყური დაგვეგდო და გულის ვარამი მისი მღვრიე ტალღებისთვის გაგვეყოლებია: შორს, წყალ-გაღმა, გადამწვარ და ჩამორეცხილ, თითქოს განგებ კაცის ხელით ჩამოკვეთილ, უზარმაზარ კლდეების ძირში, იქ, სადაც გამოქვაბულთა რიცხვი ასობით შეიძლება დაითვალოს, მონასტრის მწვანე სახურავი მოჩანდა; ჩვენი გულიც სწორეთ აქითკენ მიისწრაფოდა.

მივუახლოვდით მონასტრის ბორანს. მენავემ დაგვინახა თუ არა, ბორანი ჩვენსკენ მომართა. სამ წუთში უკვე მტკვრის მეორე ნაპირას ვიყავით. მისავალშივე ჩვენი ყურადღება ახალის სისტემით გაშენებულმა სამონასტრო ვენახმა მიიქცია. როგორც შემდეგ გავიგეთ, მთელი ეს ვენახი ამერიკულ ვაზზე დამყნობილი ყოფილა. ქვეი არ არის, ამ სამეურნეო კულტურის ნაწარმოებს არა მარტო მონასტრისთვის, არამედ მეზობელ სოფლებისთვისაც დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლია, როგორც სანიმუშო მაგალითს. იქვე, მტკვრის ნაპირას, მყუდრო ადგილებში, სამონასტრო ბაღლებია გამართული. ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია...

შევუდექით აღმართს. გზა კარგი და ადვილი სავალია. სულ მცირე ხანში უკვე წმ. შიოს პირველ სამლოცველო ადგილს გავიდით, იქ, სადაც ძველადგანვე აშენებული პატარა სამლოცველო დღესაც დაცულია და თეთრად შეფეთქილი. მოწიწებით თაყვანი ვეცით ამ წმიდა ადგილს, იქვე დასვენებულს წმ. შიოს ხატს ვემთხვიეთ და გზა განვაგრძეთ. არ გაგვივლია სულ ორმოცი საჟენი, რომ ერთბაშათ გაშტერებული დავრჩით: ამ ადგილამდის მონასტერი და მისი ახლო მიდამოები ჩვენგან დაფარული იყო: აქ კი მონასტრის დიდებული გარეგნობა და კიდევ უფრო დიდებული სანახაობა მისი ბუმბერაზ დარაჯების, მაღალ კლდეებისა, სავსებით თვალწინ გამოგვეჭიმა. გულმა უნებლიეთ ფანცქალი დამიწყო და რაღაც განსაკუთრებულის მოწიწების გრძნობით აღმევსო. სანახაობას ამთავრებდა ბ-ნ რაზმაძის მიერ განახლებული, ეგრედ წოდებული, «ცრემლის წყარო». განმაცოცხლებელ წამლად ეპკურა სიცხისაგან დაღალულს ჩვენს გულს წმიდა აიაზმა ამ ისტორიულ წყაროსი.

მონასტრის მსახურმა, რომელიც ამ წყაროსთან შემოგვხვდა, ფრიად სამიამოვნო ამბავი გვითხრა: ორნივე მღვდელმთავარნი აქ ბრძანდებიანო. ჩვენც იმ წამსვე მონასტრისაკენ გავეშურეთ.

იმავე მსახურს ყოვლად-სამღვდელო ლეონიდისთვის წინდაწინვე ეცნობებია ჩვენი მისვლა და მათი მეუფება, ჩვეულებრივის თავმდაბლობით, აივანზედ გამობრძანდა ჩვენს შესახვედრად. ჩვეულებრივის მოკითხვის შემდეგ, დარბაზში შეგვიწვია. ეს დარბაზი ძველადგანვე პირდაპირ მიშენებული ყოფილა დავით აღმაშენებლის მიერ აგებულის მღვიმის უმთავრეს ეკლესიაზე; იგი საკმაოთ სრულია და ნათელი. ხანგრძლივის საუბრისა და მცირეთ დანაყრების შემდეგ, შენობების დათვალიერებას შევუდექით. უმთავრესის ეკლესიის დათვალიერება ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ხელმძღვანელობით მოგვიხდა. სივრცე ამ ეკლესიისა ქუთაისის ბაგრატის ტაძარს ბევრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს. მის განახლებას ყოვლად-სამღვდელონი დიდის სიმხნით შესდგომიან და, როგორც სჩანს, შინაგანი მხატვრობა მარიობის თვემდის დასრულდება. ეკლესიის მოხატვა თვით ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ზედამხედველობით წარმოებს. მხატვრობა მდიდარი იქნება და ღიოლო—მშვენიერიც. აქ შემოიკრიბება ყველა ღირს-შესანიშნავ ქართველ და მსოფლიო წმინდანთა სახეები. საკურთხევლის თაღის მარჯვენა მხარეს წმ. ქართველნი მღვდელმთავარნი ამკობენ, მარცხენას—წმ. მსოფლიო მამანი. მაღლიდან, აღმოსავლეთის სარკმლის ზემოთ, მთელ საკურთხეველს და ეკლესიას ღმობიერებით დასცქერის დედა-ღვთისა თვის საუკუნო ღვთაებრივის ყრმით, რომელიც სიმბოლიურის ხელგაშლით მლოცველებზე კურთხევას აფენს. მაგრამ ყველაფრის აღწერა ხომ ამ მცირე წერილში შეუძლებელია. კაცმა საკუთარის თვალით უნდა ნახოს მთელი ეს დიდებული ნაშთი ჩვენის ძველის კულტურულ სარწმუნოებრივის ცხოვრებისა და მოწმე ახლანდელის განახლების, რათა სავსებით იგრძნოს მისი თვალ და გულწარმტაცი სიდიადე და მომხიბვლელობა.

თვით წმ. შიოს მღვიმეზე აშენებული სამი პატარა ეკლესია უკვე განახლებულია და ღირსეულადაც მოვლილი. როცა ამ ეკლესიების დათვალიერება გავათავეთ და სხვა ნაშთებისაკენ წავედით, ჩვენი ყურადღება ერთმა რუსის ოჯახმა მიიქცია. მონასტრის ერთმა ძმათაგანმა გადმოგვცა, რუსები აქ ძლიერ ხშირად დაიარებიანო. სამწუხაროთ, რამდენადაც ჩვეულება წმინდა ადგილების მოლოცვისა ხშირი და ძლიერია რუსთა შორის

მოვიხსენიოთ სული ახლად შესვენებულის მკურნალის სამსონ თოფურიასი, არა როგორც კერძო კაცისა, არამედ როგორც თვალსაჩინო მოღვაწისა. მართლადაც, ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში თუ ვისმე მოუხვეჭია ჩვენში სახელი საზოგადო მოღვაწისა, ერთი მათთაგანი უეჭველად არის სამსონ თოფურიაც, და ამისათვის ჩვენ გვსურს შევეხოთ მის მიერ განვლილ ცხოვრების იმ მხარეს, რომელიც სამაგალითოა და ყველასათვის საგულისხმო.

ვინ არ იცის, თუ ამ ოცის-ოცდაათის წლის წინად რა თვალით უყურებდა ხალხი ჩვენში საზოგადოდ და კერძოდ იმერეთში განათლებულ მკურნალს: თუ ძალით არავინ წაიყვანდა, ნებით მკურნალთან არავინ მიდიოდა,—ხალხი არჩევდა მკითხავ-მარჩიელებთან სიარულს და მათ მიერ შეზავებულ-მომზადებულ წამლების ხმარებას, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ან წუთისოფლის გამოსალმება, ან არა და უარესი ავათმყოფობა. და სწორედ ამ ხალხის გული მოინადირა და მისი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა სამსონ თოფურიამ მოფიქრებულისა და გონივრულის მოქმედებით, განუსაზღვრელის მოთმინებითა და დაუღალავის მუშაობით! სწორედ რომ ს. თოფურიას მოღვაწეობის შედეგია ის, რომ დღეს იმერი გაჭირების დროს აღარ მირბის მკითხავ-მარჩიელთან, არამედ მიმართავს ხოლმე განათლებულ მკურნალს და მისგან ელის შველას და შემწეობას; სწორედ რომ მის მეოხეობით დარწმუნებულია დღეს უმეტესი ნაწილი იმერთა, რომ «უფალმან შექმნა მკურნალნი და მისცა მათ ხელოვნება, რათა მათ მიერ განკურნოს სნეულებანი და აღიღოს სალმობანი კაცთანი (ისუ ზირაქ. 37. 5—12)». ადვილად შესაძლებელია, რომ ხალხმა მალე, სულ მალე დაივიწყოს სამსონ თოფურიას სახელი, მაგრამ მის მიერ ხალხში აღძრული ნდობა განათლებულის მკურნალისადმი-კი არ დაივიწყება, არამედ უფრო განმტკიცდება, და სწორედ ამისათვის ვალად აძევს შეგნებულ ქართველს განუსაზღვრელის მადლობით და ქებით მოიხსენიოს სამსონ თოფურიას სახელი.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სამსონ თოფურიას ცხოვრებას ჩვენის მოსწავლე და ნასწავლ ახალგაზრდობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, უმეტესი ნაწილი ეხლანდელის მოსწავლე თავობისა სწავლას აფასებს იმოდენად, თუ რაოდენად იძლევა იგი უფლებასა და საშუალებას ცხოვრებაში საუკეთესო ადგილის დასაჭერად; სწავლობენ იმისათვის, რომ ერთი კლასიდგან მეორეში გადავიდნენ, ხოლო სულ უკანასკნელიდგან —პირდაპირ ცხოვრებაში და აქ-კი თვით იმათაც არ იციან, თუ რა ადგილი დაიჭირონ: ან სულ უსაქმოდ რჩებიან, ან კიდევ ადგილს რჩევაძებნას არიან გადაყოლილნი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორსა თუ სამს წელს ოთხსა და ხუთს ადგილის გამოიცვლიან არა რაისთვის მომზადებულნი ყველაფერს ჰკიდებენ ხელს, მაგრამ ხელთაგან არა გამოუდისთ-რა! ამგვართა რიცხვს არ ეკუთნოდა განსვენებული სამსონი! იგი ერთის კლასიდგან მეორეში გადასვლას კი არ ჩქარობდა, არამედ მზად იყო მთელი სიცოცხლე შეეწირა (და აკი შესწირა კიდეც) მის მიერ არჩეულ და შეყვარებულ საგნის რიგიანად შესწავლისა და შეთვისებისათვის. ბუნების-მეტყველების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მყის შეუდგა სამკურნალო მეცნიერების შესწავლას და მერე რამდენი წვალება და ტანჯვა გამოიარა ხელმოკლე სტუდენტმა უცხო ქვეყანაში! ჭეშმარიტად, რომ «შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა, მრავალ გზის შიმშილითა და წყურვილითა, უინელითა და შიშლობითა (2 კორ. 11, 28) განვლიდა იგი სწავლის დროს. ამგვარმა ცხოვრებამ და მეცადინეობამ თითქმის გამოულიეს მას ხორციელი ძალა და დააყენეს სიკვდილის გზაზედ. მაგრამ იგი, ძლიერი სულით, არ შეუშინდა სნეულებას, მედგრად შეებრძოლა და სძლია კიდეც! მერე როგორ გგონიათ, რისთვის გამოჰგლიჯა თავი სიკვდილს? მოსვენებასა და ფუფუნებისათვის? არა და არა! იგი, ჯერ კიდევ თითქმის ავადმყოფი, არარის მქონე, არავის მოიმედე, მხოლოდ მსასოებელი ღვთისა, თავის შრომისა და მეცადინეობის იმედით, შეუდგა მოძმეთა სამსახურს სამკურნალოს დაარსებით და სულ მოკლე დროში მისმა მხნეობამ, მისმა შრომამ, მოთმინებამ და მოძმეთა სიყვარულმა შეჰქმნეს ისეთი სამკურნალო, რომლის მსგავსი ბევრი არ მოიპოვება ჩვენს დიდს იმპერიაში.

აი, საყვარელნო, ამას ჰქვია ღვთის მიერ მონიჭებული ქანქარით სარგებლობა, აი ამას ჰქვია განათლებისა და სწავლის მოხმარება, ამას ჰქვია სამშობლოს და მოძმის სიყვარული, და სწორედ ამისათვის ქედს მოვიდრეკთ სამსონ თოფურიას ცხედრის წინაშე, გულდრუკს ვუკმევთ მისს უდროოდ გაცივებულ გვამს, ხოლო უკვდავს და ძლიერს სულს შევავედრებთ მას, ვინც თავად დასდო სული თვისი ცხოვნებად ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა, ამინ.

მღ. კ. ცინცაძე.

## ბიბლიოგრაფია.

**ბატონიშვილი ვახუშტი. — საქართველოს გეოგრაფია. — დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ «მოგზაურისა.» ტფილისი. 1904 წ. ფასი ორი მანეთი.**

ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფია პირველად აღბეჭდა აკად. ბროსსემ ქართულად და ფრანგულ თარგმანის ზედდართვით. ეს პირველი გამოცემა ამ ჟამად იშვიათად მოიპოვება. ამიტომ ამ გეოგრაფიის ახალს გამოცემას სიამოვნებით მივეგებებით. რედაქცია ამ გამოცემისა უტვირთნია მოსე ჯანაშვილს, რომელსაც გაუმძღვარებია ვრცელი წინასიტყვაობა. რედაქტორი წინასიტყვაობაში განიხილავს როგორც თვით ვახუშტის შრომას, აგრეთვე სხვა-და-სხვა საგანს, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს უძველეს ისტორიის და ენის განვითარების მიმდინარეობასთან. ამ აზრით ავტორს უსარგებლია, სხვათა შორის, განსვენებულის პროფესორის დ. ჩუბინაშვილის გამოკვლევითაც «ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა». მოსე ჯანაშვილის მიერ აღძრული სხვა-და-სხვა საგნის შესახებ მოსაზრებანი საინტერესონი არიან და გამოიწვევს სჯა-ბაასს. გეოგრაფიას დართული აქვს ვახუშტის სურათი, რომელიც ახლახან აღმოჩენილა საბინინის ქაღალდებში. რამდენად ჭეშმარიტად ჰსახავს ბატონიშვილს ეს სურათი, ამ ჟამად ვერას ვიტყვით. კარგი იქმნებოდა, რომ გეოგრაფიისთვის დაერთოთ ვახუშტის მიერ შედგენილი საქართველოს რუქები.

ა. ხ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ივნისი.

**პეტერბურგი.** გენერალ სახაროვის დეპეშა უმთავრეს შტაბს 27 ივნისით». 26 ივნისს ჩვენი ჯარები სრულის წესიერებით წავიდნენ გაიჯოუსაკენ, თან იკავებდა მტერსა, რომელიც ოთხ დივიზიამდე იქნებოდა, გვეწევებოდა შუბლიდან და აგრეთვე გვივლიდა მარცხენა ფრთიდან. ჩვენი ზარალი ნამდვილად არ არის გამორკვეული, მაგრამ არ აღემატება 200 დაჭრილ და დახოცილ ჯარის კაცებსა. მოკლულის კაპიტნის გრაფ ნიროდის გარდა, დაიჭრა ხუთი აფიცერი, რომელთა გვარები ჯერ არ ვიცით. 26 ივნისს საღამოთი მტერი დარჩა სიმაღლეებზე გაიჯოუდან ჩრდილოეთად და ძირს არ ჩამოსულა. 27 ივნისს ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, დილით შევნიშნეთ რომ მტრის მოწინავე რაზმებს ეჭირათ სადგომები რკინის გზის ლიანდაგიდან დაწყობილი ერდოდოფანამდე, გაიჯოუდან 12 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთად, ამასთანავე მოეკრიბნა დიდი ძალა მაოლინგოუს მიდამოებში, 8 ვერსზე გაიჯოუდან ჩრდილოაღმოსავლეთად. იმათი მზვერავები მოდიოდენ მთლად რკინის გზის პირად და დაშიჩაოს შარა გზითა. 27 ივნისს შუადღემდე მტერს არ წამოუწევია დაშიჩაოსიუიანისაკენ. 26 ივნისს დილით ჩვენმა მზვერავებმა, თითქმის შუა ადგილას, დაშიჩაოს და სიუიანის შუა, შეამჩნია მტრის რამდენიმე როტა. შუადღის დროსაც შენიშნეს იაპონელთა მოძრაობა, ესე 6 როტისა 2 ზარბაზნით შავი მთების სამხრეთად. სიანდიანის მიდამოებში მტერი ერთი ბრიგადითა და ორი ბატარეით წამოვიდა უიდალინის გადმოსავლიდან და ერლდივგოდიან სანდიანზე. სროლამ, რომელიც დაიწყო შუადღის შემდეგ ბინდამდე გასტანა, მერე ჩვენი ჯარები წავიდნენ დასავლეთად გადასავლისაკენ. ამ ბრძოლის დროს ჩვენ დაგვიჭრეს 2 აფიცერი და 15 ჯარის კაცი, მოგვიკლეს 4 ჯარის კაცი. ხაიჩენ-სიუანისაკენ ცვლილება არ არის. ყაზახთა ასეულმა პოდესაულ ნიკოლაევის უფროსობით ხორუნჟ ბავშეევის თანახლებით სიხეიანთან შეიტყუა მტრის ესკადრონი საფარში, ჩვენ მხოლოდ სამი ცხენი მოგვიკლეს. იაპონელებს 20 კაცი მოუკვდათ, ერთი დაიჭრა და ერთიც ტყვედ წამოვიყვანეთ.

**პენზა.** დღეს აღტაცება იყო ქალაქში. დილა-ადრიანვე ქუჩები ხალხით გაივსო. მაზრებიდან ათასობით ჩამოვიდა ხალხი სათაყვანებელი მეფის სანახავად. ხელმწიფე იმპერატორის მოსვლამდე პლატფორმაზე შეიყარნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიისა და მაზრის მარშლები, ერობის უფროსნი მამასახლისებითა და დეპუტაციებითა პენზიდან, მაზრის ქალაქებიდან, ერობიდან, ვაჭრებისა, ფაბრიკებისა, ხელოსნებისა და ებრაელთა საზოგადოებისგან. 9 ს. ძ 15 წუთს მოვიდა იმპერატორის მატარებელი, რომელსაც ხალხი «ურათი» მიეგება. ვაგონიდან გამოვიდა მისი უდიდებულესობა მემკვიდრეთი და ამალით, ნახა დეპუტაციები, მიიღო პურ-მარილი, მოწყალედ მადლობდა დახვედრისა და პურ-მარილისათვის, მოხარული ვარ პენზაში ყოფნისა, ბრძანა, ამ ქალაქზე ამ ცამეტი წლის წინად გამივლია, როცა მოგზაურობიდან დავბრუნდი, აწ-კი მოვედი ჯარების დასალოცად, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთს მიდიან, რათა ღირსეულად დავამთავროთ ომი. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი შებძანდა ცხენზე და წავიდა ჯარების დასათვალიერებლად, ამ დროს საერო ჰიმნს უკრავდნენ. ხელმწიფემ შემოუარა ჯარს, მიესალმა, გაატარა თავის წინ მარშით, შემდეგ შუა ადგილას გაჩერდა, ჯარებს გზას ულოცავდა, ხატებით დალოცა და უვნებლად დაბრუნება უსურვა სამშობლოში. ბანაკიდან ხალხი აღტაცებულის ხმაურობითა და სიხარულით დაბრუნდა ხელმწიფე მემკვიდრიანთურთ ეტლით წაბრძანდა საკათედრო ტაძარში, სადაც შეიკრიბნენ ყველა მოხელენი. ტაძრის მეიდანზე დაუხვდნენ ცეცხლის რაზმის მსახურნი და მოსწავლენი. ტაძარში შესვლისას მიეგება ხელმწიფე იმპერატორს ეპისკოპოსი ტიხონი, რომელმაც დალოცა ხატით ხელმწიფე და მემკვიდრე და სიტყვა მოახსენა. ხელმწიფემ მოისმინა მცირე პარაკლისი, ემთხვია სასწაულთ-მოქმედ ყაზანის ღვთის მშობლის ხატსა და ტაძრიდან პირდაპირ ვაგზალზე წავიდა და აქედან 11 საათსა და 30 წუთზე წაბძანდა. ხალხის აღტაცება გამოუთქმელია. სადაც-კი ხელმწიფემ გაიარა, ყველგან ხალხით იყო გაჭედილი, მხიარულობდენ და აღტაცებით ჰყვიროდენ «ურა»-ს. ქალაქის სახლები ლამაზად იყო მორთული ბაირაღებითა და ყვავილებით.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). მედგარის ბრძოლისა და თავგანწირულის იერიშის შემდეგ იაპონელთა მიერ და რუსთაგან საოცარის წინააღმდეგობის შემდეგ, ოკუმ 25 ივნისს შუადღისას აიღო გაიპინი. მოწინააღმდეგე იძულებულ ჰყო დაეწია ხაიჩენისაკენ. გარშემო სერები ძლიერ იყო რუსთაგან გამაგრებული.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგენტო»). ევროპიელი, რომელიც [illegible] შემდეგ, გამოსულა პორტ-არტურიდან, ლაპარაკობს, რომ [illegible] ველ საათზე იაპონელებმა თავგანწირული იერიში მიიტანეს იმ განზრახვით, რომ შიდა ნავსადგურში შესულიყვნენ. იერიში უკუ-აქციეს. არც ერთის მხრივ ზარალი არ არის. 22 ივნისს პორტ-არტურის გარშემო ცხარე შეტაკება იყო. რუსები ირწმუნებიან, რომ ყველა მხრიდან იაპონელნი უკუ-ვაქციეთო.

**ტოკიო.** («ვოლფის სააგ.»). გენერალი კუროკი იუწყება: 23 ივნისს ჩვენმა რაზმმა 300 კაცი რუსის ცხენოსანთა ჯარისა უკან დასწია და აიღო ცზიანჩანი, 30 მილზე საიმაძიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად. ჩვენს ჯარს ზარალი არ მოსვლია.

29 ივნისი.

**ტულონი.** რუსის კონსულმა ნახა გუშინ აქ მოსული გემი «არიოლი». დღეს ელიან მინისტრ პელტანისაგან ინსტრუქციას, რომ დაიწყონ მუშაობა გემის გადასაკეთებლად გემ-ლაზარეთად.

**ჩიფუ.** (რეიტერის სააგ.). დღეს აქ საშინელი სროლა ისმოდა პორტ-არტურიდგან, რამაც ღამის 12 საათიდან დილის სამ საათამდე გასტანა.

**შანჰაი.** (ბერლინით). რუსის პორტ-არტურის ესკადრა შაბათს გამოვიდა, იერიშა მიიტანა იაპონიის სადარაჯო გემებზე და დაბრუნდა ნავსადგურში.

**ბერლინი.** ბევრი ამერიკის კორესპონდენტთაგანი ბრუნდება ამერიკაში შორეულ აღმოსავლეთის ბრძოლის ველიდან, რადგან იმედი გადაუწყდათ, რიგიანი ცნობები ორთავ მებრძოლთა შესახებ ისე ცოტააო, რომ იმ ხარჯად არა ჰღირს, რასაც ისინი სწევენ ამ ომის გამოო.

**ბერნი.** («შვეიცარიის სააგენტო»). საბჭომ გამოუწოდა შვეიცარიის სამხედრო მისსია, რომელიც შორეულ აღმოსავლეთს რუსის ლაშქარში იყო. ეს გარემოება გამოუწვევია ვითომ ორის შვეიცარიელ აფიცრის თავდაუჭერლობას, რომელთაც ვითომ ლიაოიანში არავითარისამე მოქმედების უფლება არ ჰქონდათ.

**ბერლინი.** იმ დეპეშის გამო, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა ვიბორგის პოლკს გაუგზავნა, «ბერლინერ ტაგებლადტი» ამბობს, ეს დეპეშა არის მხოლოდ უბრალო აქტი ზრდილობისა, უამისობა კი იმპერატორს, როგორც შეფს იმ პოლკისას, არ შეეძლო. ამ ზრდილობის წერილს არავითარიმე პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, უფრო იმიტომ, რომ გადაცემული იყო ერთობ ჩვეულებრივის ფორმითაო.

**პარიჟი.** «ჟურნალ ოფიციალმა» გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლითაც ნაბრძანებია, დაიკეტოს კიდევ 48 დეპარტამენტში კონგრეგაციის სკოლებიო. სულ 753 სკოლაა.

**ლიაოიანი.** გაიჯოუსთან ბრძოლის

---

იმდენად სუსტი და იშვიათია ჩვენ ქართველებში. რუსი მზად არის არხანგელსკის გუბერნიიდანაც კი კავკასიის მონასტრების და წმ. ადგილების მოსანახავად წამოვიდეს; ხოლო ჩვენს ხალხს მახლობელი ადგილების ნახვაც კი უძნელდება. მაგრამ რაღა ხალხს, განა ინტელიგენცია და თვით ჩვენი განათლებული სამღვდელოებაც იმავე საერთო სენით შეპყრობილი არ არის?! ჩვენ ვიცნობთ არა ერთსა და ორს ქართველ ინტელიგენტს (და დარწმუნებული ვართ, ამისთანა ნაცნობები მკითხველსაც ბევრი ეყოლება), რომელნიც მზად არიან სომხები ჯვარს აცვან, როგორა ჰბედავენ ჩვენის მონასტრების უკანონოთ მისაკუთრებასაო, და იმავე დროს, თუმცა თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ შიო მღვიმე კი ერთხელაც არ უნახავსთ. ან კიდევ, რამდენი ქართველია, რომ უცხოეთის სატახტო ქალაქები, ტაძარ-მონასტრები და თეატრები ნახული და შესწავლილიც აქვს, მაგრამ ქუთაისზე, ბაგრატის ტაძარზე და გელათზე კი მცირეოდენი წარმოდგენაც არ გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ზოგს ამ ინტელიგენტთაგანს თვისი „უმოძრაობის“ გასამართლებელი საპატიო მიზეზი მოეპოება, მაგრამ უმრავლესობაზე კი ესევე არ ითქმის. ჩვენ არ გვჯერა, მაგრამ ზოგიერთმა შეგნებულმა და გამოცდილმა პირებმა გვარწმუნეს, რომ ჩვენს ინტელიგენციაში ბევრია ისეთი, რომელთაც ჩვენი ძველი მონასტრების და ნაშთების დათვალიერება სასირცხოდაც კი მიაჩნიათ. ნუ თუ მართალია?? ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი?!... ვაი ჩვენს მოსწრებას?!... თურმე, ნუ იტყვით, უცხოელთა ნაშთების ნახვა სარცხვინო არ ყოფილა, ჩვენი მშობლიური ნაშთების დათვალიერება და გაცნობა კი?!... ამაზე მეტი-ღა გათახსირება და გონებრივ-ზნეობრივი სივიწროვე კიდევ შეიძლება?!... ასეთი ადამიანი განა ღირსია «ინტილიგენტის» სახელს ატარებდეს?!... მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენში დღეს ყოველგვარ სამოდო კრეტინობასა და დეკადენტობას დიდი ბაზარი და გასავალი აქვს!...

როცა კვლავ დარბაზში დავბრუნდით, იქ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე დაგვიხვდა. გასაოცარია ამ მცხოვანის მღვდელმთავრის სიმხნე და ცნობის-მოყვარეობა. აღარას ვამბობთ მის ქველმოქმედებაზე, რომელიც ყველა ქართველისთვის ცნობილია. თვის წლოვანების მიუხედავად, მათი მეუფება მშვენიერად გრძნობს თავის თავს და შეუძლია თუნდ მთელი დღე ილაპარაკოს ერთად საინტერესო საგნების შესახებ. როგორც საუბრიდან სჩანდა, მათს მეუფებას ძლიერ აინტერესებს მიმდინარე ომის ამბები. განსაკუთრებულის ყურადღებით თვალს ადევნებს იმ დეპეშებს და წერილებს, რომელნიც ამ საგანს შეეხებიან. ამავე დროს გაზეთში არც ერთი მცირე ამბავი არ დარჩება შეუნიშნავი და წაუკითხავი. მე და ჩემს თანამგზავრს, რაღაც მიზეზის გამო, შეუმჩნეველი დაგვრჩენოდა უმაღლესი ბრძანება, რომელიც რუსეთში კვირა-უქმე დღეებს შეეხება. მათმა მეუფებამ სამართლიანად გვისაყვედურა: როგორ შეიძლება ამისთანა ამბების შეუმჩნევლობაო; და რომ ჩვენი დანაშაულობა უფრო ნათლად დაემტკიცებია, შებძანდა თავის კაბინეტში, გამოიტანა «Кавказъ»-ის ის ნომერი, სადაც ეს ამბავი დაბეჭდილია, და გადმომცა შემდეგის სიტყვებით: «აბა, წაიკითხე, იმერელოო». მეც სიამოვნებით ავასრულე მათის მეუფების ბრძანება და დავრწმუნდი, რომ ამისთანა ამბების წაუკითხველობა ინტელიგენტს არ ეპატიება. მაგრამ მათის მეუფებისათვის ყველაზე უფრო სასიამოვნო და საყვარელ სალაპარაკო საგანს ჩვენი ძველი ისტორია შეადგენს, და, როგორც ქართველმა საზოგადოებამ უწყის, ეს სიყვარული უბრალო სიტყვებში არ გამოიხატება, არამედ საქმეშიაც: ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე იმ თავითვე ცნობილია, არა როგორც მარტო მონასტერთა განმაახლებელი, არამედ როგორც ჩვენის ძველის საეკლესიო და საერო მწერლობის ნაშთთა მფარველი და გამომცემელი. ინებოს ღმერთმა, მათის მეუფების ქველმოქმედ მარჯვენას კიდევ დიდხანს შეძლებოდეს უხვის ქველმოქმედების ფრქვევა ჩვენის საზოგადო ცხოვრების საკეთილდღეოდ და სასახელოდ!..

წამოსვლის წინ კიდევ მოგვიხდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდთან საუბარი. «ძლიერ სამწუხაროა, ბრძანა სხვათა შორის ყოვლად-სამღვდელომ,—რომ ჩვენის სასულიერო წოდების ახალგაზრდობა, რომელსაც მაღალი სწავლა მიუღია, ანაფორას უბრთხისო. აი, ეს არის, ახლა წავიკითხე «ივერიაში» ბ-ნ ალ. ფრონელის წერილი ვარძიის მონასტრის შესახებ და, უნდა ვთქვა, ძლიერ მომეწონაო. მართალია ჩვენს საზოგადოებაში, ერთ დროს აქეთია, სამღვდელოების შესახებ არა სასიამოვნო აზრი ტრიალებს, მაგრამ ეს აზრი დროებითია და იმდენათვე ჩვენის სამღვდელოების ზოგიერთის ნაკლულოვანებითაა გამოწვეული, რამდენადაც თვით ჩვენის საზოგადოების უვიცობითო. მე დარწმუნებული ვარ, რომ, უკეთუ ყველა ჩვენი ინტელიგენტები და საზოგადოება, ბ-ნ ფრონელივით, ჩვენს ძველ მონასტრებსა და ეკკლესიებს პირის-პირ ეცნობოდენ, მათს დიდებულ სანახაობას, სულ-წარმტაც მიდამოებს და ისტორიულს მნიშვნელობას დაახლოვებით გაიცნობდენ და შეიყვარებდენ,—მაშინ, უეჭველია, იგინი გაუჭირვებლად შეძლებდენ ამ ძვირფას ნაშთთა დაფასებას და თვით იმ სამღვდელო პირთაც მეტის პატივით დაუწყებდენ ცქერას, რომელნიც ამ ძვირფას ნაშთთა და მიდამოებს დარაჯებად და მომვლელებად უდგიანო».

ამასობაში მატარებლის ჩამოვლის დროც მოახლოვდა. ჩვენ გამოვეთხოვეთ მათ მეუფებათ და რკინის გზისკენ გამოვეშურეთ. ბორანს რომ ვუახლოვდებოდით, წინ კიდევ ერთი უცხო ოჯახობა შემოგვხდა; ესენიც შიო-მღვიმეში მიდიოდენ ღამის გასათევად (მლოცველ-მნახველთათვის მონასტერში მშვენიერი სადგომებია გამართული). მათ დანახვაზე უნებლიეთ მომაგონდა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის უკანასკნელი სიტყვები; ჩვენი საზოგადოება მხოლოდ მაშინ დააფასებს ჩვენს სამღვდელოებას, როცა პირის-პირ გაიცნობს და შეიყვარებს იმ ძვირფას ნაშთებს, რომელთ დარაჯად და მომვლელად ეს სამღვდელოება დადგენილიაო.

ს. გ.

შემდეგ ჩვენი სამხრეთ ლაშქარის ჯარები ჩრდილოეთად წამოვიდნენ. აღმოსავლეთ ლაშქარში ჩვენსა და იაპონელ მოწინავეთა შორის ხშირი სროლაა შორს მანძილზე, ისე რომ ერთმანერთის ტყვია არა სწვდებათ. იაპონელნი სცდილობდნენ, გაევრცელებინათ პროკლამაციები, მაგრამ ამაოდ, ყველა ეგზემპლიარები დაიჭირეს. წვიმები არ არის.—ჩვენს დაჭრილებს სტანჯავენ არა მარტო იაპონელნი, ჩინელნიცა.

**ვენა.** როცა პასაჟირთა მატარებელი სალონიკი-ვენა მიდიოდა, სადგურ ამატოვოსთან შეჩერდა. იპოვეს 15 კილოგრამი დინამიტი, რელსებზე დაწყობილი. ღამით მიმოსვლა სალონიკსა და უსკიუბს შუა შეწყვეტილია.

**სალონიკი.** გუშინ დილით სალონიკიდან დედეაგაჩისაკენ გამოსული მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა სადგურ ბადომთან, რადგანაც ხიდი ბულგართა მეამბოხეთაგან დინამიტით იყო დანგრეული. გზა გაფუჭებულია, ერთი კაცია დაჭრილი.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.) იაპონიის პირველ ლაშქრის ბანაკიდან, რომელიც მოდულინის გადასავალთან არის, იუწყებიან, გენერალ რენენკამპფის კავალერიის დივიზია, რომელსაც ეხმარება ქვეითი ჯარი და არტილერია, ძალიან მხნედ მოქმედებს ჩრდილო-აღმოსავლეთად.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). 26 ივნისს დილით რუსის სათარეშო გემები «ბაიანი», «დიანა», «პალადა» და «ნოვიკი» ორის საკანონერო ნავით და შვიდის ნაღმის მმუსვრელით გამოვიდნენ პორტ-არტურიდან. იმათ წინ მუძღვოდათ რამდენიმე სხვა გემები, რომელთაც უნდა ნაღმები ამოეღოთ. იაპონიის ნაღმოსანმა ფლოტილიამ იერიში მიიტანა რუსის გემებზე, რომელნიც შუადღის შემდეგ ისევ უკან დაბრუდნენ ნავსადგურში. როგორც ტოგო იუწყება, იაპონიის ფლოტს ზარალი არა მოსვლია-რა.

**სეული.** («რეიტერის სააგ.»). უცხოეთის კორესპონდენტებს და სამხედრო აგენტებს პირველად მიეცათ ნება გაჰყვნენ თან იაპონიის ლაშქარს მოძრაობის დროს, ადრევ კი ისინი უკან იდგნენ, გენერალ კუროკის უმთავრეს ბინასთან.

**ნიუ-ჩჟუანი.** («რეიტერის სააგ.»). სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულნი ჩინელნი იუწყებიან, რუსები ყოველ მხრიდან უკან იწევენ იაპონელთაგან, რომელთა მისვლასაც მალე მოელიან ნიუ-ჩჟუანში. დიდი მზადებაა დაშიცაოს დასაცველად. ნიუ-ჩჟუანში თუმცა გაჭირვებული ყოფა-მდგომარეობაა, მაგრამ გახურებული ვაჭრობაა; ნავსადგურში ბევრი გემებია.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). ტოგო იუწყება, ორშაბათს შუაღამისას ნაღმოსნები მივიდნენ იმ ალაგას, სადაც ნაღმებია ჩახერგილი პორტ-არტურის შესავალთან და იერიში მიიტანეს ნაღმებით სადარაჯო გემზე. შედეგი არ ვიცით. იაპონიის ნაღმოსნებს ზარალი არ მოსვლიათ.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). ხმა ისმის, ხუთი სათარეშო გემი რუსებისა და რამდენიმე ნაღმოსანი შაბათს, დილის 8 საათზე, გავიდნენ პორტ-არტურიდგან და ყუმბარები დაუშინეს მტრის სიმაგრეებს აღმოსავლეთის ნაპირებზე. გემები უვნებლად დაბრუნდენ სალამოს ექვს საათზე. იმათ შეხვდათ ტოგოს ესკადრა და იძულებულნი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ.

**ტოკიო.** (ბერლინით). რუსები მხნედ იცავენ გადასავალს რკინის გზის ლიანდაგისკენ, 14 ვერსზე პორტ-არტურიდან. გადასავალს იქით არის ერთობ ძლიერი პოზიცია, შეიარაღებული 12 დიუმიანი ზარბაზნებითა და ჩაწყობილ ნაღმებით. უცხოეთის სამხედრო აგენტები და კორესპონდენტები 7 ივლისიდან თავს ანებებენ მეორე ლაშქარს და მიდიან ფრონტისაკენ.

**ლონდონი.** (ბერლინით). ამ ჟამად რუსები ძალიან გაჩქარებით აკეთებენ თხრილებს დაშიციაოსთან.

**ტულონი.** გემს „არიოლს“ გადააკეთებენ წყალში მავალ საავადმყოფოდ საზოგადოების «ფლორა და შანტიეს» ხელოსნები. მუშაობა გაგრძელდება ერთს თვეზე მეტი. დაიხარჯება 300 ათასი ფრანკი. მესემედი ნაწილი ამ ფულისა საფრანგეთის პრესამ შეაგროვა. «არიოლი» წავა შორეულ აღმოსავლეთს ასე 12 აგვისტოსთვის.

**სტამბოლი.** მეამბოხეთა ცნობილმა ბელადმა სტოიჩმა, რომელსაც სამის წლის განმავლობაში ამაოდ სდევნიდნენ, მორჩილება განუცხადა და ერთგულებაზე ფიცი მიიღო. ეს მოხდა რუსეთისა და ავსტრი-უნგრეთის კონსულების შუამავლობით უსკიუბში, აგრეთვე სამოქალაქო აგენტების შემწეობითა.

**მექსიკა** პორფირიო დიაცი კვლავ ექვსის წლით აირჩიეს პრეზიდენტად.

30 ივნისი.

**მუკდენი.** იაპონელების წყაროდამ მიღებულ ცნობებით, 28 ივნისს ღამე იაპონელებს იერიში მიუტანიათ პორტ-არტურზედ და რუსებს უკუ-უქცევიათ დიდის ზიანით. ჩვენს ნაღმებს ვითომც 30,000 იაპონელი დაუღუპავს.

**უფა.** დღეს ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრითურთ უფიდგან ზლატოუსტს წაბრძანდნენ. მორთულ სადგურზედ შეგროვილი აფიცრები ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიერა უმოწყალესის საუბრით. დედათა მონასტრების წინამძღვრებმა ხელოვნურად შემკული ხატები მიართვეს. თავად-აზნაურობის დეპუტაცია, ორენბურგის მუფთი, ახუნები, ქალაქისა და ერობის წარმომადგენლები, მოქალაქენი და ებრაელთა საზოგადოება ალტაცებით მიეგება სათაყვანო თვითმპყრობელს; ამასთანავე უქვეშევრდომილესი გრძნობა განუმტკიცეს და პურმარილი მიართვეს. ერობის უფროსები და მრავლად შეგროვილი გლეხთა მამასახლისები მეფის სიტყვის გაგონებას ეღირსნენ. მისმა უდიდებულესობამ გაიგო, რომ მატარებლით ტიურენჩენში დაჭრილი ექვსი ჯარის კაცი მიჰყავდათ, მოისურვა მათი ნახვა, უმოწყალესად მიუალერსა გმირებს და ყველანი გამამხნევებელის სიტყვით გააბედნიერა.

**ყაზანი.** ღამის ორს საათზედ ყაზანის ღვთის-მშობლის მონასტერი, რომელიც შუა ქალაქშია, გაძარცვეს. გაიტანეს ქალაქ ყაზანის წმინდანი—სასწაულ-მომქმედი ხატი ყაზანის ღვთის-მშობლისა და ხატები მაცოვრისა და ნიკოლოოზ საკვირველ-მოქმედისა. ხატები მოჭედილია ძვირ-ფასის ქვებითა. კიდევ არის მოპარული ბარძიმ-ფეშხუმი და გაძარცულია ყულაბები. ქურდებს შეუკრავთ ყარაული და სარდაფში ჩაუგდიათ. ხალხში აუწერელი მიხლა-მოხლაა. ქურდები და ნივთები ჯერედ არ უპოვნიათ. გამოძიებას შეუდგნენ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

„ოდობრიხნი“ მ ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საატფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურ ას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




ა მ ე რ ი კ ი ს
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,**

თანახმად საქალაქო კანონთა კრებულის მე-X წიგნის I ნაწილის 986 მუხლისა, აცხადებს საყოველთაოდ, რომ განსვენებულის ი. ა. ამიროვის ქონების ფასის მომატების გამო დღიდგან ანდერძის დაწერისა ხსენებულ ქონების სრულ რეალიზაციამდე და მის ნაწილის ქალაქის განკარგულებაში გადაცემამდე, ორის სტიპენდიის მაგიერ, რომელიც დანიშნულ იქმნა ამიროვის ანდერძით, ინიშნება ოთხი სტიპენდია, თითო 120 მან., მიხეილის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში. ამ ოთხ სტიპენდიიდგან ორი ი. ა. ამიროვის სახელობაზეა და ორიც იმისი დის გ. ა. ურდუბეგოვის სახელობაზედ. სტიპენდიები დანიშნულია ამ სასწავლებლის ხელმოკლე მოსწავლეთათვის, სარწმუნოების და ეროვნების განურჩევლად.

(1—6—1)

Feriencolonien. Colonie des vacances

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს
**საზაფხულო სამყოფი**
**ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა**
**მოზარდ ქალ ვაჟთათვის**

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ბოკნალზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზის ქ. № 46. (15—15)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“ გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთი. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

ბ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.
(5—6—)



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მაგიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

# ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—9).


Дозволено цензурою Тифлисъ 30 іюня 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе, Русск. базаръ, домъ арм. семинаріи